ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცი"-ის სარევიზიო კომისიის

№ 4 სხდომის ოქმი

21 იანვარი 2011წ.

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის №3 სხდომა გაიმართა ქ. თბილისში, ბარნოვის 75 (0179) ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცი"-ის ოფისში. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

მაკა ჯაფარიძე - სხდომის მდივანი;
მარიამ კუბლაშვილი - წევრი;
სხდომას არ ესწრებოდა წევრი - ლევან ჩხეიძე;
აკაკი ჩარგეიშვილი - კომისიის თავმჯდომარე;
სხდომას არ ესწრებოდა წევრი - დიტო ტორაძე.

დღის წესრიგი:

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში" დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის შემოყვანის შესახებ

სხდომამ იმსჯელა – ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში" დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის შემოყვანის შესახებ, რომლის სავალდებულოობა გამომდინაროებს ადვოკატის შესახებ საქათველოს კანონიდან და ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წესდებიდან. სხდომაზე მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა ასევე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა შერჩევითი კონკურისის ორგანიზება, სარევიზიო პერიოდის განსაზღვრა, სარევიზიო (აუდირების) შემოწმების ფარგლები და რეკომენდაციების მიღება, რის შემდგომ სხდომამ კენჭისყრის შედეგად (გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად) მიიღო შემდეგი

დადგენილება:

1) შეიქმნას **საორგანიზაციო ჯგუფი** ორი ფიზ. პირის მონაწილეობით, სარევიზიო კომისიის წევრთაგან (მარიამ კუბლაშვილი, მაკა ჯაფარიძე);

2) მიენიჭოს საორგანიზაციო ჯგუფს უფლებამოსილება ორგანიზება გაუწიონ საკონკურსო-შერჩევის საფუძველზე მოიწვიონ (გამოაცხადონ) აუდიტორული

კომპანია, ამასთანავე უზრუნველყონ საორგანიზაციო საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობა და საჯაროობა, დაშვებული შეზღუდვების გათვალისწინებით;

3) სარრგანიზაციო ჯგუფის მოქმედების ვადა განისაზღვროს 1 კალენდარული თვე, რის შემდგომ წარმოადგინონ შეთანხმებული წინადადება სარევიზიო კომისიის სხდომაზე დასამტკიცებლად;

4) აუდირებისათვის განისაზღვროს ზოგადი სარევიზიო მიზნები:

- ასოციაციის პოტენციური საოპერაციო და ფინანსური რისკების იდენტიფიცირება;
- ასოციაციის პოტენციური საოპერაციო და ფინანსურ რისკებთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემებისა და მექანიზმების ადექვატურობის ანალიზი და შეფასება;
- ასოციაციის საქმიანობის ამსახველი სხვადასხვა დოკუმენტაციის (სტრატეგია, საოპერაციო გეგმა, ბიუჯეტი, პროცედურები და ინსტრუქციები, თანამდებობრივი ინსტრუქციები, სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებები, ანგარიშები, ორგანიზაციის მიერ გაფორმებული კონტრაქტების და გარიგებები და სხვა დოკუმენტები) შემოწმება, მათი არსებობის, მიზნობრიობისა და არსებულ ბიუჯეტთან შესაბამისობის თვალსაზრისით;
- ფინანსური და მმართველობითი ანგარიშების განხილვა და შემოწმება;
- ბიუჯეტის შესრულების კონტროლი;
- ორგანიზაციის აქტივების მიზნობრივი გამოყენების კონტროლი;
- ანგარიშგების პროცესების უნიფიცირება და სტანდარტიზება, შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენა;
- ბიუჯეთთან ანგარიშსწორებისა და საგადასახადო ვალდებულებების შესრულების რევიზია და შესაბამისი სარეკომენდაციო დასკვნების წარმოდგენა.

ამასთან აუდიტორული კომპანიები არ არიან შეზღუდულნი ფინასური რევიზიისათვის (აუდირებისათვის) წარმოადგინონ თავიანთი დამატებითი წინადადებები და შემოთავაზებები, სარევიზიო საქმიანობის სრულყოფისათვის.

5) სარევიზო (სააუდიტო) პერიოდმა უნდა მოიცვას 2008 წლის ბოლო ოთხი (4) თვე, 2009 წლის სრულად, 2010 წელი სრულად;

6) ეთხოვოს ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრებს (ადვოკატებს), წარმოადგინონ წინამდებარე დადგენილებასთან დაკავშირებული წინადადებები და შემოთავაზებები წინამდებარე დადგენილების ვებ. გვერდზე გამოქვეყნებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში;

7) ეთხოვოთ ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" აღმასრულებელ საბჭოს და თავმჯდომარეს აღმოუჩინონ მაქსიმალური დახმარება სამუშაო ჯგუფის წევრებს.

სხდომის თავმჯდომარე აკაკი ჩარგეიშვილი
სხდომის მდივანი მაკა ჯაფარიძე
წევრი მარიამ კუბლაშვილი